

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10	6	6
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

საღირსეო მუშაობა — ერთი მუშაობა.

ივერია

გაზეთის დასაყვედურად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართოს: თვითონ რედაქციას, ანალიზ-ბუბუთოვის ქუჩაზე, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს ზე გრიქოვის წიგნების მაღაზიას.

უასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ 1 ივნის-სიღამე წლის დამლევაძე ღირს 6 მან. 50 კაპ.

თბილისი, 16 ივნისი

ბავარია კოროლის უცნაურმა სიკვდილმა უჩინოდ ატყვევინა დიპლომატიას, რომელიც, აქაო და საბერძნეთისა და ოსმალეთისა საქმე როგორც იყო მივაფუჩინეთ, სინარულით ხელეზ იფუნქტა, ევროპა დროებით მინც ომის განსაცდელს გადავარჩინეთ. უხაროდა და ევოლა ეხლა კი პატარა ხანს თვლემას მივცემით და დადღეულს თვალს ცოტათი მინც მოვატყუებო. ხოლო მისდა საუბედუროდ, გატყვერა, როგორც ცივად მებ, ბავარია კოროლის საქმე და ძილად თავდადებულ დიპლომატიას თვადები წამოაჭყეტინა. როგორც კარგად გავეზილდი მეძებარი აქეთ-იქით დაიწყეს ხოლმე სინიზმი, თუ ნადირის სუნი მოედინა, და კოვეღს ბურქში ცხვირს წაჰყოფს ხოლმე, აქ ხომ არ არის ახლოდ ადებულ ნადირი, ისეც დიპლომატია დაფიცდა და ბავარია კოროლის სიკვდილის კოვეღს ცადვე გარემოებას ცადვე ჰსუნავს, კვანძის წვერი აქ ხომ არ არისო ამ საქმისა, რომელიც

ჯერ ხანად საიდუმლოების საფარდულ ქვეშა აქვს ბავარია სამინისტროსა.

თუმცა ბავარია პარლამენტსა დღესა თუ ხვალ წარუდგენენ ამ უცნაურის სიკვდილის ვითარებასა და თუმცა ენდონდეის სამინისტროზედ გულ აურიონი აზირობენ ამ საქმის გამო ბევრი რამ მოჰქიბონ მინისტრებს, მაგრამ სამინისტრომ უკვე გამოაცხადა კიდეც რომ გარდაცვალებულის კოროლის კხოვრებაში ბევრი იმისთანა რამ არის, რომელსაც ვერ გამოვამყავნებთ და თუ გავამყავნებთ, გავაუბატურებთ კოროლის დირსებასა. აქედამ სჩანს, რომ ქვეყანა მინც სრულს გარემოებას უბედურის კოროლის ტახტიდამ გადაყენებისა და უცნაურის სიკვდილისა ამ გზითაც ვერ შეიტყობს და, რასაკვირველია, ჭირსა და ცილს ამით დიდი სარბიელი გაეხსნება.

გულწრფელი და ენაჭარტალი დიპლომატია, რომელსაც ბნელაში ხელის ფათური უფრო უყვარს, ვიდრე სინათლეზედ მოქმედება, თავისას არ იშლის, რომ აბრუ არ გაიტყნოს გულ-მინსობისა და უველადერი ცოდნისა. იგი მეჭორე დედა-კაცისავით ათას ნაირს მიტყმამოტყმამა დღეს, მიამდა ბოლოს ან ერთი გამოდგება მართალი, ან მეორეო და სახელი და დიდება მინც ჩვენს გამჭირა-

რობას დაჭრებაო. კაცმა კი რომ მართალი სთქვას, — ამ ბავარიის კოროლის საიდუმლოებით მოცულს საქმეში ბევრი რამ იმისთანაა, რომ დიპლომატიას შეუძლიან კბილი ჩაჭკიდოს და გუშინს ნაღვლით გზა მისცეს სარბოლად.

ენდა თითქმის ეჭვ გარედ არის, რომ დიდი ხანის ნათესავი, მხლობელი და მინისტრები გარდაცვალებულის დიდებულის, მისის უცნაურის კოფა-ქვევით გაოცებულნი და შეშინებულნი, რჩევას თხოულობდნენ ბისმარკისაგან და მისთან ამ საგანზედ ლაპარაკი ჰქონიათ. კარგა ხანია თურმე ბისმარკისათვის უცნობებით, რომ კოროლი თავის ჰკუხვედ არ არის და მისი გადაყენება ტახტიდამ აუცილებლად საჭიროაო. ხოლო ბისმარკი გადაყენების წინააღმდეგი ყოფილა და ამ მიზეზით ახსნება ის საოცარი გარემოება, რომ დედახელმძღვანელი ვერ გაჭებდეს ბავარიელთ დიდებულის ტახტიდამ გადაყენება, თუმცა, როგორც ამ ბოზენ, კარგა ხანია თურმე იგი თავის ჰკუხვედ აღარ ყოფილა. ურჩობა ბისმარკისა ამ შემთხვევაში ადვილად გამოსცნობია და ადვილად აღსახსნიელი: გარდაცვალებული დიდებულები გულწრფელი და თითქმის თავგადებულები მომხრე იყო გერმანიის ერთობისა, რომელიც შეჭმნა ბისმარკმა და რომელზედაც სამართლიანად და-

მყარა მან თავისი სახელი და დიდება. გადაყენება ტახტიდამ დიდებულის მომხრეს დაკარგავს ჰნიმნავდა ბისმარკის თვალში და ბავარიის მომხრეობა მაშინ, როცა საფრანგეთი კრიშაში უდგას გერმანიის, დიდი საქმეა ბისმარკისათვის მით უფრო, რომ ბავარია ერთი უდიდესი და უძლიერესი სახელმწიფოა გერმანიის იმპერიაში. გარდა მაგისათვის, ავსტრიაც, რომელიც ენდა უღონობის გამო ბოლო-თრისავით ზედ გამობეულობა ბისმარკის პოლიტიკაზედ და რომელსაც ჯერ კიდეც გულიდამ არ ამოუღია ჯვარი, რომ ბისმარკმა გერმანიის ზედი დაბანინა და გერმანიადამ გამოაძევა, რისსა და თხას მოიმატებდა, თუ ბავარიაში იმისთანა თავგამოდებული მომხრე გერმანიის იმპერიისა არა მჯდარიყო საკოროლო ტახტზედ, როგორც იყო დიდებულები.

თუ ესე იყო საქმე, მამ როგორცა გადაყენეს ტახტიდამ დიდებულები, იკითხავს მეთხველი? კოვეღს დიდი ბისმარკის წინააღმდეგი საქმე როგორ უნდა მომხდარიყო? კიდეც აქ არის ის ფონი, რომელიც ერთს ადვილად არჩობს. განთების აზრით, კვანძი აქ არის შვერული თურმე და ამ კვანძს წვერიც აქ უჩანს გამოსახსნელად. საქმე იმაშია, რომ უელთამდე ვალებში ჩავარდნილს კოროლს დიდებულებს ფული დასჭირ-

ებია. ჯერ თავის თინანსთა მინისტრისათვის დაუვალებია, ფული მიმოვნეო. მინისტრს უარი უთქვამს. გაჯავრებულს და გაჭირებულს კოროლს სხვა გზა მოუნანავს, სახელდობრ, იგი გზა, რომელზედაც არა ერთხელ უღლიათ გერმანიის სახელმწიფოებს ჯერ მაშინ, როცა შერთებულნი არ იყვნენ. კოროლს დიდებულებს ლაპარაკი გაუბამს ერთს საფრანგეთის ტახტის მაძიებელთან და სესხად ფული უთხოვინა. საფრანგეთის ტახტის მაძიებელი და გამოძღვნილი გრაფი პარიქელი დაჰყოლია ბავარიის კოროლს და დაჰპირებია ოც მილიონ ჰრანკს მხოლოდ ერთის პირობით, რომ თუ ვინცობა საფრანგეთსა და გერმანიას ერთმანეთში ომი მოუხდათ, ბავარია გერმანიას არ მიუხროს და ჯარი არ მიამწოდოს. დიდებულები ამზედ თანხმა გამხდარა და საქმე იქამდინაც მიმდგარა, რომ დიდებულებზედ ჰქვამოდა ფულის მიღებასა. ეს ამბავი აცნობა ბისმარკს არამც თუ გერმანიის ელჩმა, რომელიც პარიქშია, არამედ თვით მთავარ-მინისტრმა ჰერისინეც. ეს ამბავი შეიქმნა იმის საბაბად, რომ ჰერისინე, წინად წინააღმდეგმა პრინციების განდევინსა საფრანგეთიდან, ენდა იძულებული იყო შეეტანა პარლამენტში კანონ-პროექტი საფრანგეთიდან

ფელეტონი

შარდანი სამართლოში

(ფრანგულიდან*)

გათენებას ჯერ ორი საათი აკლდა, როცა 14-ს ანარგვიდამ გავმეზხავენი: გავიარეთ ორი ეჯი პატალფის აუოლებით, მერმე გავბრვებარგეთ ჩვენი ხაზავი და დაწვეთ ექვს პატარა ურმებზედ. სხვა ორი ურემიც დატვირთული იყო სურსათით, რომელიც მ. ზამში იყდა. ამ რვა დაბარგულმა ურემმა საშინელი ხმა დაგვიყარა: სამეგრელოში ამდენი ქონების ერთად ნახვის ჩვეულები არ არიან. ორმა დღემაც არ გაიარა, მთელმა მხარემ გაიგო, მოვიდნენო ევროპიელები, რომელთაც რვა საცხე ურემი ბარგი აქეთო. ამ ახალ ამბავს დაწვილებით ლაპარაკობდნენ და ამან, როგორც გიამბობთ, ბევრი უსამოვნობა მოგვაყენა. გავიარეთ ხმელით ოთხ ეჯი ნახევარი და მზის ჩასვლისას მივედით სიზიაში.

სიზია ორი პატარა ეკლესიის სახელია; ერთი მათგანი მეგრელებისა და მეორე ტვატინების ეკლესიაა. ტვატინების ეკლესიას დიდი გალაფანი აქვს და ამ გალაფანში სდვას

ორივე ეკლესია. გალაფანში რამდენიმე ხის სახლია აშენებული იმ გვარის, როგორსაც აქ აშენებენ: ზოგი ორ სართულიანი ზოგი მარტო ერთსართულიანი. თითო ბერს თითო ამისთანა სახლი აქვს სადგომად, ისე რომ ისინი მთლად გაკალკვებულნი არიან. სულ პატარა სახლები სახევა იმთის მონებით და ორი კომლი გლეხით, რომელნიც იმათი ყმანი არიან.

ტვატინები სამეგრელოში 1627-ს წელს მოვიდნენ. ისინი აქ მიიღეს, როგორც ექიმები. მაშინდელი მთავარი სამეგრელოსი ძრიელი იყო. იმას მოახსენეს, რომ სასარგებლო იქნებოდა იმის ქვენისათვის, თუ ნებას მისცემდა იმის ქვეყანაში ეცხოვრათ იმისთანა ხალხს, რომელთაც იცის მკურნალობა და სწეულებისაგან მორჩენა აღმინისა. მთავარმა მიიღო ტვატინები და მისცა სახლი, მიწები და რამდენიმე გლეხი ამ მიწების შესამუშავებლად და ღვინითა და პურიით სასაზღოვებლად.

1672

8-ს სამეგრელოს დედოფალი მობრძანდა ტვატინებთან. პრეფექტი საჩქაროდ მიეგება დედოფალს. დედოფალი ცხენზედ იჯდა; მის ამაღარა რვა ქალი და ათიოდე ქვეითი კაცი იყო, კაცები ცხენს ერტყნენ გარს. ამაღარა ძრიელ ცუდად იყო ჩაქმული და შეიარაღებული. დედოფალსაც გავეო, ვითომ ტვატინებს სურსათი

მოსვლით, რომელსაც კოვეღს წლივ იღებდნენ სტამბოლიდამ და უბრძანა პრეფექტს: შენთან მოსულან ევროპელები, რომლებსაც დიდი ბარგი მოუტანიათ, მე ეს ძრიელ მესიამოვნა. მსურს ენაზო ისინი და მიულოცო მშვიდობით მოსვლაო. მე დამიძახეს და მითხრეს, რომ დედოფალს გამოეგებო, მ. ზამში მითხრა ძღვენი მთავარი, რადგან ჩვეულებია აქ, რომ ძღვენი დახედნენ მთავარსა და დედოფალს, როცა მიბრძანდებიან სადგომო. მე შევევედრე დედოფალს და ესთხოვე, რომ კეთილ-ინებთ და ცოტას ხნით მომიტინეთ და სასახლეში მოვართმეთ ძღვენსა-მეთქი. დედოფალმა შეიწყინარა ჩემი თხოვნა დედოფალს მოახსენეს, რომ მე ოსმალური და საპრული ვიცი; დედოფალმა მოაყვანინა მონა, რომელიც კარგად იცოდა ოსმალური და დაწვერილებით გამოაკითხა, ენა ვარ, სადაური ვარ და სად მიმეზავრია.

19-ს დღით დედოფალმა გამომიგზავნა მოპატყე და სადილად მიმიწვია. სადილზე ჩემთან ერთად იყვნენ მ. ზამში და ერთი სხვა ტვატინი დედოფალი სცხოვრობდა მხოლოდ ორის ეჯის მანძილზედ ჩვენგან. მთავართან არა სცხოვრობდა, რადგან მთავარი ვერ ითვისებდა თავის მკულობას და ჰირივითა სძულდა: ეს ქალი იმას ძალად შერთეს.

დედოფალი ამ დღეს უფრო კარგად მოართული ენაზე, ვიდრე წინად იყო; ეგრე უმარული წვესა და ძრიელ სტლიობდა ლაპარაკი გამოჩენილიყო; ოქრო-ქაოლის ფარჩის ტანისამოსი ეცვა და თავისი საქაული ძვირფასის ქვეთობა ჰქონდა მოართული; იმისი პირ-ბადე კარგი და მშვენიერი რამ იყო. ხალიჩაზედ იჯდა, გვერდით ცხრა თუ ათი მოღარაზე ქალი უსნდა. საკუთარი იმისი სეფე-ქალები, როგორცა სთქვას, ომიანობის გამო გახიზნულნი იყვნენ. დარბაზი საცხე იყო თითქმის ნახევრად ტიტველა ხალხით, რომელნიც იმის ამაღარა შეადგენდნენ. ჯერ ვიდრე სახლში შემვიმებდნენ, მომხრეებს დედოფლისათვის მიტანილი ძღვენი; ერთ ჩემ მსახურს მოჰქონდა ეს ძღვენი და გადასცა კაცებს. ძღვენად მივართვი აბრეშუმის ბადები, ქალაღი, ნემსები, დანის ქარქაშები და საკაოდ ლამაზი საქრელი იარაღი. ეს სუყველაფერი ჰპირდა ოც-და-სამი, ანუ ოც-და-ოთხი ფრანკი, მაგრამ სამეგრელოში კი სამოცზედ მეტი ჰპირდა. დედოფალი ძრიელ კმაყოფილი დარჩა ამ საჩუქრითა; შემიყვანეს იმის სახანავად დედოფლის ახლო სკამი იდეგა, რომელზედაც ოსმალურის მკოდენ მონამ მიმიწვია და შემადარჩიყვი. დედოფალმა ჯერ მითხრა, რომ მე მსურს შეგროო ცოლად ერთი ჩემი მეგო-

ბართავანი ქალიო. მე არ მინდა ისე წახვიდე ჩემის ქვეყნიდანაო, მე მოგცემ სახლს, მიწებს, მონებს და ყმებსაო.

სახლი, რომელშიაც დედოფალი სცხოვრობდა, იდეგა ხუთსა თუ ექვს სხვა სახლებს შუა; თვითყელი მთავანი ასის ნაბიჯით იყო ერთი მეორეზედ მოშორებული; სახლები არც ლობით იყო შემოზღულული, არც გალავანით. სახლის წინ მოჩანდა ხის ტახტი სიმალით 18 გოჯამდე პატარა გუმბათით დახურული. ძირს ხალიჩები იყო დაფენილი. დედოფალი ხალიჩაზედ იჯდა, ქალები ისხდნენ ოთხ ნაბიჯზედ მოშორებით სხვა ხალიჩებზედ. ტვატინებისთვის და ჩემთვის ორი სკამი იდეგა ამ ტახტის ახლო; ერთი დასაჯღომოდ, მეორე სტალის მავირად. როდესაც დედოფალი დაბრძანდა, მესუფრემ გაშალა იმის წინ გრძელი ჰრელი ტილო და ერთ მხარეზედ დაწყო ჰურჭელი; ორი დიდი და ორი პატარა შუშა, ოთხი ლანგარი, რვა სხვა-და-სხვა სიდიდის ჯამი, ერთი დიდი ბაღა, ერთი ჩამჩა—ეს ჰურჭელი სულ ვერცხლისა იყო მეორე მსახურმა იმევე დროს ყველას წინ, ვინც კი სუფრაზედ იჯდა, დაწყო ხის ტოტები სანების მაგვირად; ქალების წინაც ეს ტოტები დაწვეს. როდესაც ყველაფერი მოამზადეს, მოიტანეს ორი ქვაბი და შუა

*) იხ. „ივერია“ № 125.

პრინციპების განდევნის თაობაზედ. ეს კანონი მიიღო კიდევ უკიდურეს-მენტზე და დღეს გრაფი პარყელი თავისის სახლობით და პრინცი ბონაპარტი სახლობითვე განდევნილ არიან საფრანგეთიდან.

რამდენად მართალია ევფელის სესხობის საქმე, ჩვენ არ ვიცით, ხოლო ამას ვიტყვიან, რომ ქურთაღ-გაზეთობას დღეს ამ ძაღვით აქვს მოქარგული ქსელი ბავარიის საქმისა. ძალიან რომ გამოვკვიდეთ ამ ბნელს საქმეს, ცოტა ოდენს სანათურისას ვუპოვით, საიდანაც მცირე ოდენის შუქის მიყენება შესაძლოა. ჭრისინე რომ პრინციპების განდევნის თაობაზედ ილაპარაკა პარლამენტში, სხვათა შორის სთქვა, რომ გრაფი პარყელი ისე იქცევა, თითქმის მართლაც კარგად იყოს საფრანგეთისათვის; საქმე იქამდინ მივიდა, რომ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელთაც კი საჭიროდ დაინახეს მასთან მისვლა-მოსვლა და ღიარაჟი გაემართათ.

ოცის მიღლიონის გასესება, ვსთქვით არაფერი: გრაფი პარყელი იმდენად მდიდარია, რომ ამას თავის ჯიბიდანაც მოახერხებდა. ეს მიზეზს არ მისცემდა ჭრისინეს ეთქვა, რომ გრაფი პარყელი კარგად სავით იქცევა. საქმე იმაშია, რომ გრაფი პარყელს პირობა დაუდგია სწორედ ისეთი, როგორც მართლაც კარგად შეუძლიან დაუდგას: გერმანიის ნუ მიეშრობო, თუ საფრანგეთსა და გერმანიას ომი მოუხდება. რასაკვირველია, ამ გვარს საგანზე ბავარიის წარმომადგენელს მისვლა-მოსვლა ექმნებოდა გრაფი პარყელთან და ამის შემდეგ საკვირველიც არ არის, რომ ჭრისინეს ამ შემთხვევაში საბუთი მიუძღვებოდა ეთქვა, გრაფი პარყელი კარგად სავით იქცევა და უცხო სახელმწიფოთა წარმომად-

ალაგას დასდგეს—ერთი ძრიელ დიდი იყო და ოთხ კაცს მოჰქონდა, ის ჩვეულბერტის ღამით იყო საცხე, მეორე უფრო მომკრო იყო, და შიგ თეთრი ღამით იყო, ორ კაცს მოჰქონდა. ორმა სხვა კაცმა მოიტანა ხონჩით მთლიანად მოზარდული ღარი და ოთხმა სხვამ—თითომ თითო ღოქი ღიწო. ყველა ესენი ჯერ დედოფალს მიართვეს, მერმე ქალებს, მერმე ჩვენ, მერმე მთელ ამალას. ამას გარდა დედოფალს მიართვეს პინჯი, რომელშიაც ეწყო პური და მწვანე-ლი მადის განალიზებულად და კიდევ ერთი ეგრესლის დიდი ღანგარი მიართვეს, რომელზედაც ორი მფრინველი ილა: ერთი მოზარდული და მეორე შემწვარი, ორივე რაღაც საბაგელი საწებელით, რომლის ქამა სრულმითაც ვერ შევიძულ. დედოფალმა გამომიგზავნა ცოტადენი პური, მწვანელი და შემომითვალა, თუ ვახშმად დარჩენილ, ხარს დავიკლაყო. ეს მხოლოდ ცარიელი თავიანთობა და მომადრიელება იყო. ცოტა ხნის შემდეგ კიდევ გამოგზავნა ფრინველის ორი ნაჭერი და აკითხინა, რატომ სამეგრელოში არ მოდიან ის ევროპელი ხელოსნები, რომლებმაც ეს მშენებელი იქიან ლითონის, აბრეშუმის და მატყლის ხელი და რად მოდიან მარტო ბერები: ბერები რად გინდა, ან რას ვაქნეთო. მე ძრიელ გამაკვირვა ამ კი-

გენენიცი საჭიროდ ჰხადიან მასთან მისვლა-მოსვლა და ღიარაჟი იქონიანო. თუ სახეში მივიღებთ ჭრისინესგან წარმოთქმულს სიტყვას და ამ ფულის სესხების საქმეს გვერდთ დავეუწებთ, ცოტა არ იყოს ქურთაღ-გაზეთობის მიერ აღდგომად ადებულს ამავეს ფულის სესხებისას სიმართლის ფერი დაეფება. თუ ეს მართალია, მაშინ ადვილად გამოსავლობია რად მიუცია ბისმარკს ამ ბოლოს დროს ნება გადასყენონ ტანტიდამ კარგადი დედაცი, რომელმაც, როგორც ამბობენ, ვერ აიტანა თურმე ეს უცხარი უბედურება და თავი წყაღში დაიჩინა.

ახალი ამბავი

* * გუშინწინ, კვირას, ისრაელთა თორასთან გაუცარცავთ ერთი ვილაც ვაჭრის შვილი. აი როგორ ყოფილა ეს საქმე: თურმე ღამე მოდის სახლში (იმ ქუჩაში მდგარა), უცრეი სამნი თავს დასხმან და კისერში ხელეზი წაუჭერიათ. მის ყვირილზე გამოცვივულან მეზობლები, რომელნიც ის იყო თურმე დაწოლას აპირებდნენ. ხალხის დანახვაზე ავახაკები გაქცეულან და თავი გაჩხილი მსხვერპლი კი იქ დაუდგათ. მეზობლებს გულწასული აუყვანათ და დედ-მამასთან მიუყვანათ. დამფრთხალს ქურდებს კიდევ მოუსწვრითა საათისა და ქისის წალბა. თურმე ბეგრი იყვირა მსხვერპლმა ვიღვრ სკარცავდნენ, მეზობლებს თუმცა ესმოდათ, მაგრამ შიშით ვერ გამოვიდნენ გარედ და მანც არც ერთი პოლიციელი არ გამოჩინდა, რომ ეშველა საპარლო მსხვერპლისათვის და გადაეჩინათ. აი კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთი, რომ პოლიციელთა რიცხვი მტად ცოტაა და საჭიროა, რომ რაიმე ღონისძიებით შეავსონ ეს დანაკლისი,

თხვამ. დედოფალი ხმა-მაღლა ღიარაკობდა მეგროულად, იმისი მონა ხმა-მაღლავე მითარგმნიდა ოსმალურად. წარმოიდგინეთ, ამ ღიარაკის გამო რა ნაირ შერცხვათ იქ მყოფ ტეატრებს. მართალი უნდა ესთქვა, მე ძრიელ დავებმარე იმით; მე მიუყე იმითა და ჩემ მაგიერადც, რადგანაც მე კაპუტინი ვეგონეთ და ამისთვის ეს ღაპარაკი ერთ-გვარად შეგვეგნებოდა ყველას, რომ ევროპელი ხელოსნები მხოლოდ მოგებისათვის მუშაობენ და მოგება ხომ იქაც საკმაო აქვთ და ამისთვის სხვანაირ არ ეძებენ სიმდიდრესა-მეთქი. ბერებს კი სახეში დღის დიდება და ხალხის ცხონება აქვთ და მხოლოდ ეს დიდი სურვილი აიძულებთ ევროპელებს დასტავონ თავის ქვეყანა და ამ სიშორეთ წამოვიდნენ-მეთქი.

სადილობა ორს საათს გასტანა. შუა-სადილზედ დედოფალმა გამოგზავნა ერთი თასი ღიწო და შემომითვალა, რომ ეს ღიწო მისი ღიწონა და თასიც ის თასია, რომლითაც თვითონ მიირთმევს. ესეთი პატივი სამჯერა მცა. დედოფალი ძრიელ გამაკვირდა, როდესაც ნახა რომ მე ღიწოში წყალს ვურევიდი და სთქვა, თავის ღიწოში არ მინახავს ესაო. თითონ და მის გვერდთ-მყოფი მანდილოსნები სვამდნენ წმინდა ღიწოს და საქმოდ ბერსაც. სადი-

ლუმცა ქალაქის გამგებებს უარი უთქვამს პოლიციის შტატის მომატებაზე. ამბობენ, ის სამი ავახაკი, რომელთაც ვაჭრის შვილი გაცარცეცს, ღამე კიდევ მისულან და თვით ვაჭრის შვილის ოჯახობას დასციმიან, მაგრამ დაუფრთხითო. პოლიციელთა ცოტა რიცხვს მიეწერება, რომ ავახაკები ასე გამოავლენდნენ და გათამამდნენ. ამბობენ, ამ გაცარცევაში მოწვილედ ერთი ამ ვაჭრის მეზობელ ბაყლის შვილი იყო, რომელიც ავახაკობსო.

* * ალექსანდროვის სამოსწავლო ინსტიტუტში 15 მოსწავლემ შეასრულა სწავლა, ამათში 6 ქართველია: გიორგი ჩურჩულაძე, დიმიტრი ტატიშვილი, სოლომონ მესტიაშვილი, ბენიამენ მირიანაშვილი, გერასიმე ხალარძე და ვესევი ბაბილუა.

* * გუშინწინ, კვირას, არსენალის ქუჩაზედ ცეცხლი წევიდა ტფილისის მოქალაქის სარკის სულხანოვის სახლებს. ცეცხლი წაუკიდებია სამსახურიდან დათხოვნილს კაპიტანს ბარტენივს. ცეცხლი წაუკიდებია თუ არა, ბარტენივი თავის ცოლით სხვა სადგომში გადასულა იმავე ქუჩაზე. პოლიციელები მისულან დასატყუანდებოდ, მაგრამ კაპიტანს დამბახა აულია, ცოლს ხანჯალი და დამუქრებინან თურმე პოლიციელებს. ბოლოს მიპარვით დაუტყურიათ, იარაღი წაურთმევიათ და დაუტყუსალებიათ. სულხანოვის სახლიდან სტეფან მირზოევის სახლზე გადასულა ცეცხლი. ცეცხლი ცეცხლის-მქრობელ გუნდს გაუქრია. დაზღვეული არა ყოფილა არც ერთი სახლი.

* * მას შემდეგ რაც ტფილისში გაიმართა საქალებო პროფესიონალი სახელოსნო სკოლა, წელს პირველად დაიჭირეს მოსწავლეებმა სრული კურსის ეგზამენტი. სულ 16 მოსწავლელი გამოვიდა სასწავლებლიდან, ამათში 10 მიეცა მოწმობა კაპების ღისათვისსს გამომიგზავნა კაცი და აკითხინა, მოვიტანე თუ არა ევროპიდან სუნილები და ჩინური; ექვსჯერ თუ შეიძლება გამოვიგზავნა კაცი მხოლოდ ამისთანა რამეების საკითხავად. ამით მიეხვედი, რომ ეს ქალობატანი მხოლოდ თავის სარგებლობისთვის მიალერსებდა. სუყველაფერზედ უარი შევუთვალე. ბოლოს გაწყრა და სთქვა, მე მსურს კაცები გავგზავნო შენის ბარგის გასასინჯავდაო ეს ნება თქვენი იყოს მეთქი, შევუთვალე მე. ეს პასუხი იმისთვის მიეცა, რომ მეშინოდა, ვი თუ უარს და წინააღმდეგობას უფრო სიხარბეში შევიყვანა დედოფალი. მეშინოდა აგრეთვე, რომ არ შეემჩნიათ რა თავზარი დამცა ამ მუქარამ. ბოლოს დედოფალმა დამამშვიდა: გეზუმრებო. მე ვითომ დავიჯერე, მაგრამ, როდესაც სადილი გავათავეთ, შეგვხვეწე ერთ ჩემთან მყოფ ტეატრის სასწრაფოდ წასულიყო და ცხრობებინა ჩემის ამხანაგისათვის დედოფლის სიტყვები, და მზადა ყოფილიყო ყოველ შემთხვევისათვის.

სახლში ძრიელ დაფიქრებული და შეწყურებული დავბრუნდი. დედოფლის სიტყვებმა ძრიელ დამაფიქრეს; მეშინოდა სიხარბითა და ან სხვადასხვა მიზეზით რაიმე ბოროტი არ შეემთხვია ჩემთვის. მ. ზამში მითხრა, რომ უსათუოდ მოელოდებო-

ქრისა და კერვისა და 6 თეთრულის ქრისა და კერვისა.

* * ამას წინედ ჩვენს გაზეთში მოთხრობილი იყო 12-ინისის მომხდარი ორი მკვლელობა ერთად ევრაზედ. მოკლული იყო აზნაური მიხეილ მალიშკინი, რომელიც ოლქის საინჟინერო გამგებობის მოხელე აღმოჩნდა, და ტფილისის მოქალაქე გეურქ ოჰანეზოვი. პოლიციის 1 ნაწილის პრისტავ გლეზოვის მეცადინეობით ამ ავახაკობის მომქმედნი დატუსალებულ იქნენ. ესენი არიან: ხიდის-თაველი, გორის მაზრის მცხოვრებელი, იოსებ გელიტიშვილი, ტფილისის მცხოვრებელი აბელა ნონიკაშვილი და საგარეჯოელი სანდრო ინანგჩელი. ამათში უკანასკნელი გამოტყდა მალიშკინისა და ოჰანეზოვის მკვლელობაში.

* * * პოლიციის მე-10 ნაწილში მდებარე ანტონოვის ქუჩის მაშულთმეტატონეთ, იმის გამო, რომ ხსენებული ქუჩა აქამდე გადაუყვებელია, ქვა-დაუფენელი და საშინელი ტალახი იცის, საერთოდ თხოვნა შეუტანიათ ქალაქის გამგებობაში, რომ გამგებობა თვითონ ითავოს ამ ქუჩის გაკეთება და ხარჯს მემამულენი ჰქისრულობდნენ. გამგებობას დიდს სიმარტებით მიუღია ეს წინადადება და უთქვამს, რომ თქვენის მხრივ საჭირო ფულის შემოტანისამებრევე ქუჩის შეკეთებას შეუდგებთო.

* * * აქამდე, როგორც მოგეხსენებათ, ყველა სასწავლო წიგნები, სახელმძღვანელოები კავკასიის სწავლაგანათლების მზრუნველს უნდა წარსდგენიყო, რომელიც განიხილავდა ხოლომე, რჩევას იქონებდა და თავისაგან მოწონებულ წიგნებსა სახლობი განათლების მინისტრს უგზავნიდა და სამტკიცებლად. ეხლა, გაზ. «კავკასისი» სიტყვით, მათ უდიდებულესობათ ხელმწიფე იმპერატორს ეს უფლება კავკასიის მთავარ-მმართველ-

დე ყოველსავეო. მე მოვეწადე ამისთვის და მეორე ღამეს მიწაში ჩავფალით ყველაფერი, რაც კი უფრო ძვირფასი რამე გვქონდა. ამოვათხრე ვინე ერთის ტეატრის სახლში ხუთის ჭუჭის სიღრმე ორმო და ჩავფალი იმაში ძვირფასის ქვევითა და მოაქვილი კვდლის და უბის საათებით საეცე ყუთი და ერთიც მარჯვებით საეცე ყუთი. ყუთები ისე ღამაზად იყო ჩავფული, რომ სრულებით არა სჩანდა ნათხარი მიწა. მემრე ამავე აზრით ეკლესიაში წავეღო. მ. ზამში მიჩრია ამეხანდა ერთი ტეატრის სახარე, რომელიც აქ ექვსის წლის წინადა იყო მოთხროლი და შიგ შემენახა პატარა ყუთი, რომლის დამალვა-ც მსურდა. მე ვაჩრე ამომეთხარა ორმო ეკლესიის ერთ კუთხეში, კარებს უკან; იქ გავაკეთებინე, როგორც ოთხანში, დრმა ფოსო და ჩავდე ეს ყუთი, რომელშიაც თორმეტი ათასი დუკატი ოქრო იყო. შემდეგ დავმალე ჩემის სახლის სართულში ძვირფასის ქვევით მოაქვილი ხმალი და ხანჯალი. სართული ჩალით იყო დახურული. მე და ჩემმა ამხანაგმა ძვირფასი და სუბუქი ნივთები ჩვენთან შევიწახეთ და, რაც ისე ძვირფასი არ იყო, ის ტეატრებს მივაბარეთ.

23-ს გავივებ, რასაც მიპირებდა დედოფალი, როდესაც დამემუქრა, რომ

ღონდუკოე-კორსაკოვისათვის მიუნიქებიათ. ამის შემდეგ მან უნდა დამტკიცოს ყველა ქართულსა და სამხურსენაზე გამოცემული სახელ-მძღვანელოები სწავლა-განათლების მზრუნველისაგან მოწონებული.

* * * წლევედლოს ნომებრში იქნება ახალი არჩენანი ქალაქის გამგებობისა. ამის გამო გაზ. «კავკასი» მოჰყავს ყველა იმ პირთა სახელები, რომელნიც კი ქალაქის თავად ყოფილან 1840 წ. დაწყებული აქნობამდე. აი ეს პირები:

ი. დ. იზმიროვი, ა. ბაბანასოვი, მ. გ. ტერ-გრიტუროვი, ს. ზ. აბესალმოვოვი, ი. მნაცკანოვი, ზ. ამირალოვი, ს. ხატისოვი, ა. ბ. სვენიკოვი, ი. ა. მირიანოვი, ა. დ. მნაკოვი, ს. დ. სარაჯოვი, ვ. არშაკუნი, გ. შ. ვართანოვი, ე. გ. ფრიდონოვი, ი. ე. არწრუნი, თავადი ი. დ. თუმანოვი, დ. ი. ყოფიანი და ა. ს. მატინოვი, რომელიც ამ თანამდებობას აგერ 8 წელიწადია ასრულებს. სულ ქალაქის თავად 1840—1886-მდე ოცი კაცი ყოფილა.

* * * 15 ივნისის ღამეს პოლიციელებმა შეიპყრეს სამსახურ გარეუე ყოფის მაიორის ქალი მარიამ ბელეგირი, რომელიც ღამაორტორიის ქუჩაზედ მეტად უეწუნარებელ შინაარსის ხელ-ნაწერ განცხადებებს აკრავდა. ეს განცხადებანი ბევრს ტფილისში მცხოვრებელ პირებს შეეხებოდა. აგრეთვე გამოამარაგადა, რომ ამავე ქალს გავრდა ამ დღეებში ამ გვარისავე შინაარსის ხელ-ნაწერი ქალადგები ტფილისის სასულიერო შინაარსის კვლეებზე; ყველა ამეგში დამამე უევე გამოუტყდა და ალიონა პოლიციისთვის წინამე. როდესაც პოლიციამ განჩრია ქალის სახლი, 64-მდე იმისთანავე შინაარსის განცხადება იპოვნა ხელ-ნაწერი და ოთხი დაეჭვდილი წერილი ტფილისში მცხოვრებ პირებთან გასატანად იმავე უეწუნარებელის შინაარსისა. უევე დადგინილის წესით ამ ქალზე სასამართლოში საჩივარია შეტანილი პოლიციის მე-4 ნაწილის პრისტავის-მიერ.

* * * 14 ივნისს, ავლაბარში, ვაჭარ ბევერელი სახლში, პაქის მეორე კიდელს ვაჭრის ოსებ იავოროვის 12 წლის შვილ-

გახჩრეკინელა ჩემს ბარგს. კვირა იყო; დღის ერთი ნაწილი ღოცვაში და სულ-თქმაში გავატარე, რადგან ვგრძობდი უბედურებას, რომელიც თავს დამტრიალებდა, ვგრძობდი განსაცდელს, რომლითაც გარემოზლულული ვიყავ და არა მქონდა გზა ყველა ამ ვაჭრებისაგან თავი დამეღწია.

როდესაც ჩვენ ესადილობდით, შემოვიდნენ და უთხრეს პრეფექტს, რომ ორი კეთილ-შობილია კარზე და გეძახიანო. ეს კეთილ-შობილები იმათი მეზობლები იყვნენ. ისინი ცხენებზე ისხდნენ და ჩაჩქანში იყვნენ ჩამსდრები და მთლად შეიარაღებულები. პრეფექტს არ გაუკვირა იმათი ამ სახით და ამოდენა ამალით მოსვლა, რადგან მაშინ ომიანობა იყო კეთილ-შობილებმა უთხრეს პრეფექტს, რომ ჩვენ მოგვდივთ შენთან და ახლად მოსულ ევროპელებთან სალაპარაკოდაო. ამსობაში ცხენებამ ჩამოხდნენ. პრეფექტმა დავიძახა მე და ჩემს ამხანაგს. ჩვენ გავედით. მე ჯერ ვერ მიეხვედი იმათ ბოროტ განზრახვას, მაგრამ მალე ნეკზე ვიბინე და ყოველივე გავიგემიეუხსლოვდით თუ არა, მაშინვე შეგვიპყრეს თავიანთ მსახურთა შემწეობით. იმავე დროს უთხრეს პრეფექტს ვი ვართ და მთელი ჩვენი სიმდიდრე წიგნები, ქალაღებნი და უბრალო ბარ-

მა დამაზა და ცალა და თელავის მოქალაქის ნიკოლოზ უახსოვის 10 წლის ვაჟი მოპყვია.

* * 13 ივნისს, დღის 11 საათზე, პოლიციის ცოლის ე. მ. კალენჩენკოვი-სათვის თავის სანლის ანლო ვილასც წელიდამ გამოუტყენია ფულის პაეითი—12 მანეთით და გაქცეულა.

* * გავ. „Каспий“-ს სიტყვით, ამ დღეებში ბაქოში მდ. მირზოევის ახანაგობას ერთს იქაურ ნათის მწარ-მოებელზე 200,000 ფუთი ნათი მიუყინა, ფუთი 2 პაკეტიად, მიტანიო.

* * 1 ივლისიდან უნდა შეიცვალოს წესები სახანო და სატყუო წარ-მოების კავკასიაში და იმიერ-კავკასიის გუბერნიებში; განზრახვა აქეთ სახანო ტყუო საწარმოებლად 77 სატყუო გამ-გობა დაარსონ, ამათში 25 პირველის ხარისხისა იქნება, 30—მეორისა და 22—მესამისა. ამ ცვლილებასთან ერთად შეიცვლება აგრეთვე სახელმწიფო ქონებათა გამგობის წესები სტავეროპოლისა, ბაქოსა, ელისავეტპოლისა, ქუთაისისა, ტფილისისა და ერევნის გუბერნიებში და აგრეთვე კუბანისა, ტერსისა და შაღის ზღვის ოლქებში. ამას წინად დაწესებული თანამდებობა სახელმწიფო ქონების სამინისტროს მინდობილობით, კავკასიაში გაუქმებული იქნება და მისი წარმოება მიენდობა ცალკე დაწესებულ გამგობათ ისე, როგორც რუსეთის ბევრ გუბერნიებშია დაწესებუ-ლი.

ნარკვევა

(ურნალ-გაზეთებში)

გლადსტონი დამარცხებას არ შეუძინდა. «სახელივანი მოხუცი» საოცარ ძაღს და სიმხნვეს იჩენს. დაუდასაზად ერთის ადგილიდამ მეორეზედ გადადის და სიტყვას სიტყვავზედ აბობბს. ხალხი უკვე-გან დიდის აღტაცებით ეგებება

გია-მეთქი. ნუ იხმარებენ ჩვენზე ძალას და ყველაფერს გიჩვენებთ მეთქი. მე ამის მეთქი ლანე აღარ დამიჩინიყო, რადგან დაქერილი და შემოპილი ვიყავ და რადგან ამ ავაზაკებმა უკვე დაიპყრეს ჩვენი სახლი და ყველა მასში მცხოვრებნი. ამ მოხერხებამ ლეთის მალლით ცოტათი მიშველა: გამიხს-ნეს ხელები და მითხრეს, გაღე ოთახის კარებში. ეს ოთახი პირველ სართულში იყო; იმაში მხოლოდ ის იყო, რაც გვირდა ენახათ იმათ. ჩვენ, როგორც ესთქვი, თანა გვექონდა ჩვენი უძვირფასესი თევლები: ჩემ ამხანაგს ისინი ჩაკერებული ჰქონდა თავის სკელს ტყავით დასარჩულვებლ ტანთ-საცმელის საყელაში; მე ჩემი გამ-ვეული მქონდა ორ პაკეტი და დამალული ყუთში, რომელშიაც ჩემი წიგნები ეყუო. ვერ გაგებდენ ისინი თანა მქონიყო, რადგან მეწინადა ან არ მოვეყალით, ან არ გავცარტყეთ და ან გასასყიდად არ შევეყარიო. მე ერის კაცად მყოფ ტვატინს და ჩემს ამხანაგს ვუთხარი, რომ ეს კეთილშობილები ცალკე გეცმობთ, ლა-ზარაკით შეექციათ და ცოტადინი ფული შექციათ, რომ ამ გვარად ჩემთვის მოეცათ დრო, ამომელო ყუთიდან ეს ორი ძვირფასი პაკეტი და დამეძალა სადმე. იმათ მოახერხეს ეს. შევედი ჩვენ ოთახში და ჩავაკ-ტე კარი. მხლებლებმა ეჭვი აიღეს

ერთგულს და თავ-განწირულს მო-დევწეს და ხალხის ინტერესების დამცველსა. ერთს რკინის გზის სადგურზე, სადაც გლადსტონს მოკლადნენ, ისეთი დიდი ძალი ხალხი შეიკრიბა, რომ პოლიციამ ვედარა გააწყობ-რა, ვერ შეიძებრა და ხალხს სრული ნება მისცა. ხალხმა იკრიბა, სადგურში ად-გილები დაიჭირა და სხვა ადგილი რომ ადარ იყო, ვაგონის ბანებზე ავიდა, რომ აქედამ მინეც დაენა-ხა გლადსტონი და მიქსალმე-ბოდა. გამოჩნდა გლადსტონი. ხალხმა აღტაცებით ტამის კვრა დაიწყო. გლადსტონმა მადლობა გადაუხადა ასეთის პატივისცემის-თვის და შემდეგი სიტყვა უთხრა:

ბატონო, მე არ შემიძლიან აქედამ წაივი უმისოდ, რომ მადლობა არ გა-დაგიხადოთ თქვენ და თანას სხვას, რომელ-ნიც დღეს აქ ვერ დასწრებინ და ჩემს სიტყვას ვერ მოსმინენ. მე შეურება, თუ რა მიზეზია, რომ თქვენ ასე აღტაცე-ბით შეგებებით მე: ამის მიზეზი ის დიდი, პატიოსანი ნაციონალური და სახელმწი-ფოებრივი საქმეა, რომელსაც თქვენც ისე-ვე თანაგრძნობთ, როგორც მე. გემოლი-ნებათ, რა მიზეზით დავითხოვე მე პარ-ლატონი? იქნება ბევრი ნამდვილი მი-ზეზს არ გეუბნებოდეთ, მე კი არ გიმა-ლაფთ და გეუბნებით, რა იყო ამისი მი-ზეზი:—ის, რომ ირლანდიასა ჰესურს, თავის საქმეები თვითონვე განაგოს, და მერე რატომ არ აძლევენ ამის ნებას? იმ-ტომ რომ, ჩვენის მოწინააღმდეგეების აზრით, ირლანდიელი სანდობი ხალხი არ არისო. უყუილია, ბატონო! ჩვენს სახელმწიფოში სამი ცალკე ერია და მე არა მარტომ, რომ დემოტს ერთი ამათ-განი გამოერიცხოს და ნდობის ღირსად არ ეცხანს, ჩვენი მოწინააღმდეგენი აბობ-ბენ: კანადის მცხოვრებლებს შეგვიძლიან მივედლოთო, ავსტრალიის მცხოვრებლებს-საცაო, ირლანდიის ერს კი არასოდესაო. თქვენ და თქვენ მოძიეთა, რომელთაც მომავალ პარლამენტისთვის ამოირჩევთ, აი ეს უნდა გარდასწყვიტონ:—ესთრო, რომ ირლანდიას სიყვარულით და ნდო-ბით ვეპყრობოდეთ, თუ ძალ-მოძრაობით გინდათ განავსო ეს ქვეყანა. ასეა ნამ-დვილად საქმე, მე თქვენ არაუარსა გიმა-ლაფთ, ყველაფერს გულ-ანდლიად გუ-

ჩემ განზრახვავზედ, დაუძახეს ბატონებს და ისინიც მოადგენენ კარებს; ის მაგრა იყო შეინდამ ჩაკტილი. მე ვავიგონე ჩემი ამხანაგის ზახილი; ის მიყვიროდა, რომ ჰუტურტენებდამ გათვალისწინებენ და გაუფთხილდო. ამის გამო მაშინვე გამოვიღე ჩემი ორი პაკეტი ქერიდამ, სადაც ისინი დამდამე, —მეწინადა ვი თუ დამინა-ხეს-მეთქი, ჩავიწყე ვიბემი და რომ ვნახე, ეს ავაზაკები კარებს ამტყვედ-ნენ, გადავტე ძირს ფანჯრიდან, რომ-მელიც ბაღს გადავჭურებდა. უფრო მკირე ვაპირებამი, რაც უნდა მოე-ცათ, ვერ გაგებდენ იქიდან გადახ-ტომას, რადგან თავის სასიკვინოდ გამოიმეტება იქნებოდა, მაგრამ შიში-საგან შეპყრობილი კაცი მარტო იმ საგანზე ფიქრობს, რაც იმას აწინებს. ვავიქტე ბაღის ბოლოს და ჩემი პაკე-ტები ჯავგებში გადავყარე. ისე აღელო-ვებული ვიყავ, რომ კარვა ვერც კი დავთვალე ის ადგილი, სადაც პაკეტი ჩავყარე. მაშინვე დავბრუნ-დი ოთახში და ვნახე, რომ ოთახი უკვე საცემ იყო მცარცვლებითა. ზოგ-და სხვა ტვატინებს, რომელნიც მათ მისაგებლად გამოხულიყვნენ, ჩამო-გვეცალენითო და თუ გინძრევით საშველად—დაცხოცათო. შეშინებუ-ლი პრევეტი გაიქცა. სხვებმა არ მოიხურვეს ჩვენი თავის განებება და ერთი ერის-კაცთაგანი ტვატინი-კი ძრი-

ნებით. ეხლა თქვენ იცით—ჰოს“ იტ-ვეით, თუ „არასა“, როდესაც თქვენ და-გეკითხებათ სახელმწიფო. გთხოვთ მხო-ლოდ, ნუ დაუფრებთ იმათ, რომელნიც განგებ თვალს გინებენ და ან თვალთ-მაქციობით გატყუებენ.—გემშადობებით და ვისურვებ თქვენთვის ყოველს სი-კეთეს, როგორც კაცთათვის საზოგადოდ, როგორც უდიდესს სამშობლოს შეკლთა-თვის, როგორც ერის უდიდეს, სახელმწი-ფოს მოქალაქეთათვის!...

მსმენელი დიდის აღტაცებით ტამი დაუკრეს გლადსტონსაო, აბობბს განუთი „Русскія Вѣдомос-ти“, საიდანაც ჩვენ ეს აბობბი მოგვყავს. ბედნიერია ის ერი, რომ-მელსაც ასეთი კაცი ეხადება, და აგრეთვე ბედნიერია ის კაცი, რომ-მელსაც ასეთი მსმენელი ჰყავს.

განუთი „Русскія Курьерь“-ში შემდეგს ვკითხულობთ:

ვინმე ბ-ნ შავროვს არა ერთხელ დაუ-წყვიდა ღიაპარაკი იმაზე.—თუ ვინ უნდა დავასანლოთ შავის ზღვის ნაპირებზედაო. ბ-ნი შავროვი ხელთ-მძღვანელობს პატ-როტულის გრანობით და გვირჩევს ყა-ზახები დასასწლოთ, რადგანაც, იმის აზრით, ყაზახები კეთილ-სამიმელო ხალხია და უშიშრად შეგიძლიანთ, რუსეთის სა-მხლებების დაცვა მიანდოთ.

განუთი „Новороссійскій Телег-რაфъ“-საც დაუწყვიდა ღიაპარაკი აბავე საგანზე. განუთი „Курьерь“-ი კი სულ სხვა აზრისაა, ეს განუთი აბობბს:

აქ ისეთი ხალხი უნდა, რომელიც ჰყავს შუიოვისებს და მიწის მოვლას ისე შეიძლებს, როგორც აქაურს ბუნებას და სხვა ვითარებას შეუფერებაო.

ამის გამო განუთი შემდეგ რჩე-ვას იძლევა.

შავის ზღვის პირებზე დასასანლებ-ლად ყველაზე გამოსადგენი დაღმაცო-ვლები, სლოიანები და სხვები იქნება-ნო, ერთის სიტყვით ის სლოიანები, რომ-მელნიც ზღვის პირზე ცხოვრობას მიჩვე-ულნი არიან და მაშასადამე, შავის ზღვის ნაპირებდაც ჰყავს ადვილად აიბანენ

ელ დავეხმარა: ამან თავი გადასლო ჩვენთვის და, თუმცა ამოღებულნი ხმალი კისერზედ დაადეს, მაინც არ გავმორადა. ჩვენი მსახურები მაშინვე შებოქეს. ერთ მათგანს ჰსურდა წინა-აღმდეგობა გეწი და ამოიღო დიდი დანა, რომელიც სარტყელში ჰქონდა გამავრებული; ამ მოსამსახურეს შუ-ბი ჰკრეს და წააქციეს მიწავზედ, შეჰ-კრეს და ხეზედ მიანეს. ვერმე ამ ავაზაკებმა გამოავიცხა-დეს, რომ ჰსურთ გასინჯონ ჩვენი ქო-ნება. მე მივუგე რომ ბატონი ბრძან-ლებით მეთქი, ჩვენ ლარიბი კაპუტინენი ძალაზე დასდგომოდნენ ჩემს ამ-ხანაგს, ზოგნი კეტებს სცემდნენ ჩემს ყუთებს და უნდოდათ, რომ გვეტენ-ნათ. მე ცოტა გული მომეცა, რად-გან ვიცოდი რომ იქ ძვირფასი არა იყო რა და უთხარი რომ გაფთხილ-ლი მეთქი, სპარსეთის მეფისაგან ვარ გამომგზავნილი და საქართველოს მეფე გადაგიხდისთ, რომ ჩემზე ძალა მოგაქეთ მეთქი; ვაჩვენე კიდეც სპარ-სეთის შაჰისაგან მოცემული ქალალი. ერთმა კეთილშობილთაგანმა აიღო ეს ქალალი და მოისურვა მისი დახევა და თანაც სთქვა, რომ იმას მთელ კვეყანაზედ არავისი არ ეწინადა და არც ხათრი აქეს. მეორემ შეაყენა და დაუშალა: ვარაყით ნაწყრმა და მო-ოქროვილმა ბეჭემი იმოქმედა იმაზედ. იმან მითხრა თარჯიმნის შემწეობით,

და მიწა-წყლის მოვლასაც ადვილად მო-ანერებენო.

იქნება განუთისა და ბ-ნ შავრო-ვის მოსაზრება მართალიც იყოს!..

წარლი რედაქტორის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

ამ თვის 4, თუ 5-ს გამოსულ თქვე-ნის განუთის „სალ ამაპიკა“ ყოფილა მტრე შენიშვნა შესასებ. რადგ ჩხუბასა, რომელიც თურმე აქ დღეობის დროს მომხდა და ამ ჩხუბში ვითამც 25 კაცი დაჭრილა. რადგანაც ეს ამაპი-სიმატლეს მოკლემული არ არის, მა-გრამ განკიადებულია და მისი მომწერი ზოგიერთ აქაურებს მე გვიჩვენა, ამის-თვის უმორჩილესად გთხოვთ, ბ. რედაქ-ტორო, თარიღ სიტყვა დაუძალოთ ამ წერილსა და გამოაცხადოთ, რომ მე სრულიად არაფერი მონაწილეობა არ მაქონდა და არ ვაღებ თქვენს განუთში და არც ის ამაპიკა ჩემი მოწერილია*.)

თქვენი განუთის კითხვა-პასუხის მუშაველი თეოფილე კანდელიკი ს. მეფრეს-სხვე 12 ივნისს

ანგარიში

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ საქმეთ-წარმოებისა

III

(შემდეგი*)

ბ) თონეთის სკოლა.

თონეთის სკოლა დაარსდა 28 ნოემ-ბერს 1883 წელს. საანგარიშო წელს

*) რედაქცია აცხადებს, რომ ბ-ნი კანდე-ლიკი არავითარს მონაწილეობას არ იღებს ჩვენს განუთში და არც შეიმოსენებელი ამ-ბავია მისი მოწერილი.

რედაქცია

*) იხ-ლე „ივერია“ № 124, 125, 126 და 127.

რომ გამელო ყუთები და არაფერ ბო-როტს არ შემამთხვევდა, მაგრამ თუ კიდეც უარზედ დასდებენ—მხრებიდამ თავს მოგაცილებთო. მე დამორჩილების მავიერად სიტყვის შებრუნება მოვიწ-ლომე. იმან კინლამ ძვირად დამისევა ეს: ერთმა მხლებელთაგანმა იმიშვლა ხმალი და მომიღრა თავში დასაკრავ-დ. ერის კაცთაგანმა ტვატინმა დაუ-ჭირა იმას ხელი. იმავე დროს ვაფლე ყუთები და საკვირველი ცარცვა დაიწ-ყეს: რაც კი მოეწონათ ამ ბატონებს, ყველაფერი მოიტაცეს.

ამ ცარცვის დროს მე ფანჯარაზედ ვიყავი მიყუდებული. ცარცვას თვალი მოვარიდე, რომ უფრო არ აღმმატე-ბიყო სიმწარე. ბალისკენ რომ ვიყუ-რებოდი, შევნიშნე იქ ორი მხლებ-ლი ჯავგებსა სხნკეკუნდნენ იმ მხარეს, სადაც ვგონებდი მე, დამავლე ჩემი ორი პაკეტი. მე მთლად გამწარებუ-ლი ვაგეყენე იმათენ; ერთი მ. ტვა-ტინი მომდევდა უკან. ის ორი კაცი, დავინახეს თუ არა ბაღში შესულნი, წავიღენ იქიდან, არ ვიცი კი რათა. მაშინვე დავიწყე პაკეტიბის ძებნა. ჩე-მი მღელვარება მიშლიდა მეპონა ალაგი, სადაც ჩავყარე პაკეტი ვე-ლარ ვიპოვე და დაბეჯითებით მეგონა, რომ იმათ იპოვეს და წაიღეს მეთქი. პაკეტიბში ოც-და-ოთხის ათასის ეკიუს საფასი იყო და ადვილად წარმოასდგე-ნია, რა სასო-წარკვეთილებაში ჩავარ-

სკოლაში იყო სამი განყოფილება. პირ-ველს განყოფილებაში სწავლობდა 22 მოწაფე, ამათში 13 ვაჟი და 9 ქალი; მეორე განყოფილებაში—18 მოწაფე, ამათში 14 ვაჟი და 4 ქალი; მესამე განყოფილებაში—12 მოწაფე, ამათში 11 ვაჟი და 1 ქალი. მაშასადამე სასწავლ-ყოფილებაში წლის განმავლობაში იყო 52 მოწ. ვაჟი 38, ქალი 14. მართლ-მადიდებელი იყო 47, სომეხი 5; ერთე-ნებით: ქართველი 45, სომეხი 5, ოსი 1, რუსი 1. წოდებით: გლეხნი 50, ჯ-ნაური 1, სასულიერო წოდების 1. სო-ფლის საზოგადოება აშენებს ესლა სასლს, რომელიც, პირობის ძალით, მხად უნდა იყოს 1 ოქტომბრისთვის ამა 1886 წლის იმ გემბით, რომელიც გუგზანა ჩვენმა საზოგადოების გამოგობამ.

სკოლის დაარსებიდანვე მასწავლე-ლად არის ბეს. ტილამე, რომელიც იყო საზოგადოების სტიპენდიანტი და ამ სამის წლის წინად შეასრულა სწავლა გორის სამაწავლეო სემინარიში.

გამეკობას საზოგადოებისა ივნობს სსე-ნეუელს მასწავლებელს იფიად სსსარგუ-ლო პირად, როგორც თვით სკოლის-თვის, ისე საერთად ასლო-მასლო სოფ-ლებისათვისაც, და ამისათვის მიქსლად მისს მტრე ჯამატირს და წასასაღისუ-ლად მისდა წელს ვილდოდ 25 მანეთი.

სკოლის წლიური ხარჯი: მასწავლე-ბელს ჯამატირი 300 მ., მასვე ვილდოდ 25 მ, წიგნები და სასწავლო ნივთები 50 მ., სულ დაახარვა 375 მ. სკოლას აქვს წლიური შემოსავალი 300 მ., მა-შასადამე საზოგადოებამ დახარვა თავის საშუალებიად 75 მან.

გ) ხელთ-უბნის სკოლა.

ხელთ-უბნის სკოლა დაარსდა 1 ოქ-ტომბერს 1884 წელ. ამ უმაღ სკოლა შესდგება სამის განყოფილებისაგან. პირ-ველში არის მოწაფე 11, მეორეში 14, მესამეში 10. 35 მოწაფეთაგან ვაჟი არის 20, ქალი 15, ამათში არის გლე-ხნი 32, ჯნაური 3. ამ უკანასკნელთ კრთქეკობ სწავლის ფასი. მასწავლებელად დაარსებულანვე არის სკით გამეყელი,

ლი: იმ წამსვე მოგვედებოდი, თუ ღმერთს არ შევეწყალებინე; იმან თვი-სი სახიერებით ხელი აღმიპყრა მე და შემარჩინა ცოტადინი ღონე. ჩე-მი ამხანაგი და ერის კაცთაგანი ტვა-ტინი მალალის ხმით მიძახოდნენ. გა-მოვედი ბალიდამ და შევირბინე ოთახ-ში. შევედი თუ არა, ორმა მხლებელ-მა შემიპყრეს, მიმართეს კუთხეში და ამომაცალეს ჯიბიდან რაცა მქონდა; მაგდენი კი არაფერი არა იყო-რა. მემ-რე დამიჭირეს და უნდოდათ ხელები შეეკრათ ჩემთვის. მე დავიწყე ყვირი-ლი, გამაღიანება, მოვთხოვე მივეყე-ნეთ თავის ბატონებთან და ვათქმევი-ნი ამ ავაზაკების უფროსებისთვის, რომ არ არის საქირო ჩემი შეგვრა და შემოქვა თუნდ სასიკვინოთ წა-მიყვანოთ და თუნდ რაც უნდა მი-ყოთ, მე მზათა ვარ მოვითმინო მეთ-ქი. იმათ მოგვიგეს რომ მთავრთან უნდა წავიყვანოთო, რადგან მეფის გამოგზავნილები მყოფილხართო. მე მივუგე, რომ შეუბოქავდაც წამო-ვალთ იმასთან და იმელი გვაქვს, ის გავასამართლებს, რომ ჩვენ გვაქვს იმასთან წერილები, რომელსაც უსა-თუოდ პატივს დასდებს მეთქი. გვიან-ლო იყო, ღამდებოდა. მთავრის სასახ-ლე 15 ეჯზედ იყო. ჩვენ გავვანთა-ვისულვებს და მარტო ის მოსამსახუ-რე წავიყვანეს, რომელმაც წინააღ-მდეგობა გაუწია. ეს მოსამსახურე 15 დღის შემდეგ 10 პისტრად გამოიხს-ყიდე.

რომელსაც სწავლა შეუსრულეს ტფილისის სასულიერო სემინარიაში. რადგან სიფიქს არა ჰქონდა სკოლისთვის მომზადებული სახლი, ამისთვის აღვილაზობრებმა შემადგენელმა კნ. თომანიშვილმა სამ დაუთმო დროებით სიფიქსის საზოგადოებას თავისი საკუთარი სახლი. სიფიქსი უკვე შეუდგა სასულიერო სემინარიაში, რომლის გამო სისხლაც დასმარება ჰქონდა საზოგადოებასაც. საჭიროა საზოგადოების სასულიეროდვე კეთება, რომ სკოლის საზოგადოებას შემოტანილი აქვს სკოლის ხარჯად 1884 და 1885 წწ. 1,114 მ. 28 კ ამ ფულიდამ სკოლის გახსნის დღემდე 34 დაკლებამდე ამ წლის დასაწყისი და დასაწყისი მს. წავლელის ჯამდობისთვის 840 მან. დარჩება 274 მ. 28 კ. ეს დარჩენილი ფული გამოყენებულა გარდასწავლითა დაურუნდეს სკოლისთვის საზოგადოებას სკოლისთვის სახლის ასშენებლად. ყწერათვის საზოგადოებას აღმოუჩინა სკოლისთვის ორის წლის განმავლობაში შემდეგი შემწეობა: სკოლას ჯერჯერ 226 მ., წიგნები და სასწავლო ნივთები 66 მ. 72 კ., წრილობის ხარჯი 6 მ. 47 კ., სულ 299 მ. 19 კან.

წელსაც როგორც წინა-წლებში, დიდ ზრუნვად სკოლის წარმატებისთვის. თომანიშვილმა ქალი ანატასია, რომელმაც გარდა მუდმივი ურადლებისა და ზრუნვის, სკოლისთვის შესწირა 25 სსვადანსვა წიგნი, ურმათისთვის სკოლისთვის ამისთვის იგი უკვლავ დაირსია საზოგადოების, მადლობის. გარდა ამისა სკოლას შესწირეს სსვადანსვა ზნით 9 დრეული წიგნი და ფულიც 1 მ. 70 კ. წვეკანდელი ხარჯი სკოლის: ჯამდობის მასწავლებელს 360 მ., წიგნები და სასწავლო ნივთები 41 მ. 65 კ., მასთანავე წელს საზოგადოების საშუალებადამ დახარჯა ამ სკოლისთვის 41 მ. 65 კან.

(შემდეგი იქნება)

დეკემბერი

14 ივნისი

სტამბოლი. რუსეთის რწმენებულმა რუსულმა პრეზიდენტმა, რომ შეტერბ კრედიტს მიჰყავს სკოლისთვის მასწავლებელს ხარჯს ურადლებას იმისთვის რომ ბოღგარბის მოსახრამ რამდენჯერმე დაარღვია ორგანიზებული სტატუსით.

ბრიუსელი. ბელგიის ბანკმა დასწავლა დისკონტი 3-დამ 2/10-დამ.

16 ივნისი

პეტერბურგი. ტინანსთა მინისტრმა დღეს წამდინა სამსჯავარგარედ.

ბალტიის პორტი. დიდი მთავრამ ვლადიმერ ალექსანდრეს-მე მეფელითურთ წამდინა აქედამ განჯალს.

საქალმესდარი ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩუპე (1886) წელიწადი. ქვეყნის შემქნელმა **7394**. მკველი ინდიკტიონი მე-14, ამისი ქორნიკონი — ულწ — 478 წელი. დაიწყო 1408 წ. და თვებმა 1940 წ.

ახალი ინდიკტიონი მე-4, ამისი ქორნიკონი — 42 წელიწადი. დაიწყო 1844 წ. და თვებმა 2376 წ. 1886 წლის შედ-ნადები — 3. ივნისი 30 დღით არის.

17 დღე სამშაბათი. მოწამე მანუელ, საველი, ისმეილი; სიმეხა: წმიდათა ქალწულთა ნინასი და მანისის; კათ. ეპისკ. ადოლიფის და მარცინის. მესულამ. 27 დღე თთვისა რამაზან 1303 წ. ჰიჯრისა. ლექვილიან ტუყადრი, ლექვი წინად განგებულბი-სა (სუნტეხისა). ოსმალთ დაიწყეს ერეკანა 1725 წ. ქვემარტი შეადლე 12-3-9. ტფილისში მზე ამოდის 4-27; ჩადის 7-38. მთვარე ამოდის 2-42 ნღ. ჩადის 4-33.

18 დღე ოთხშაბათი. მოწამე ლეონტი, იპატო, თოდუღე. სიმეხა მარგვა. კათ. მარკონისა და მარცელინის, ჰველესი და მარინესი. მესულამ. 22 დღე რამაზანის მარგვისა. დღე მავშადის სიძის ალის გარდაცვალებისა. ტენ. ლექტი. გლასესანი ერთის რაზმი ჯარით შევიდა ეპარდოში და დამიშვიდა მეამოქნის, რომელნიც კმხადებოდნენ და დიდი არეულობა უნდადით დაწყოთ 1804 წელს. საქართველოს მთავარ-მმართველმა გრაფმა გუდოგიში სასწავლანად სიდას არსრუშის სერასკერს უსუფ იფას აზმახასთან, გუშმრის ასლო 1807 წელს. ქვემარტი შეადლე 12-3-21. ტფილისში მზე ამოდის 4-28; ჩადის 7-38. მთვარე ამოდის 3-29 ნღ. ჩადის 5-37.

19 დღე ხუთშაბათი. მოწამე ილიასი, ეფასი, მისი უფლისა, სიმეხა: წმ. თავადთა სააკ, იოსებ; წმ. მოწამე სერგისა. ჰაგლის. კათ. გერვანისი და პროტუზისი. მესულამ. 29 დღე თთვისა რამაზან. ისლო, ლექვილიან ცხვისსა (სუნტეხისა); მოგონება ოსმალთ დამარცხებისა ვენის ქალაქთან. რუსის ჯარი ექმეამინს მივიდა 1804 წ. ქვემარტი შეადლე 12-3-38 ტფილისში მზე ამოდის 4-28; ჩადის 7-38. მთვარე ამოდის 4-26 ნღ. ჩადის 6-40 დ.

20 დღე ჰარაჯევი. წმ. მეოლიასი, ათანასესი. სიმეხა მარგვა. კათოლიკეთა: სილივისტრისი, ფლორენტიანისა. მესულამანი უანსანელის დღე რამაზანის მარგვისა. როცა თავადი ციციშვილი კმხადებოდა ექმეამინის იერშით ალებისთვის, უცბად განხდა დიდი ჯარი სპარსთა და ასტუდა ფიციტელი ოში 1804 წელს. 1 საათსა და 7 წამსზე შობა ახლის მთვარესი. ქვემარტი შეადლე 12-3-44; ტფილისში მზე ამოდის 4-29; ჩადის 7-38 მთვარე ამოდის 5-22 ნღ. ჩადის 7-35.

21 შაბათი. წმ. მოწამე იულიანე, ტერენტიან; წმ. საქართველოს მეფეთა: არჩილ, ლუარსაბისა. სიმეხა: წმ. დიდის ნერსეს მამა მთავარისა; და ეპისკ. ხადესი; კათოლ. ალიზია და აერელინისა. მესულამ. 1 დღე თთვისა შეკვალ 1303 წ. ჰიჯრისა — 1 დღე ორუჯ — ბაბრამისა. 1 დღე ფიციტი, განსილიება. რუსის ჯარმა დაიწყო დარუბანი 1805 წ. „ამიერ კავკასიის მასარებლის“ ბეჭდვა დაიწყო ტფილისში 1836 წელს. იაღ-ბუსტე ასვლა აკადემიკოსთ: გუბერნიას, მიკაელისა და ლეციას 1829 წელს. ქვემარტი შეადლე 12-3-55. ტფილისში მზე ამოდის 4-29; ჩადის 7-38. მთვარე ამოდის 6-29 ჩადის 8-29 ნღ.

22 კვირა. მოწამე ვესევი ეპისკოპოსისა. სიმეხა: ალემის-ღამე წმ. გრიგოლ განმანათლებლის მარგვისა. კათ. ჰველინისა და ფლავიანისა. მესულამ. 2 დღე ორუჯ — ბაბრამისა — 12 დღეს ერეკან რუსის ჯარი ანაპას და ხუთჯერ მიიტანეს იერიში. ქალაქი ალბულ იქმნა 22 ივნისს დილის 8 საათზე. დატყვევებულ ოსმალთს ფაშათა შორის იყო ცრუ-წინასწარმეტყველი მანსურიც, რომელიც პეტერბურგს გაიგზავნა 1791 წ. ფიცველი ომი გამართა ექმეამინის მიდამოთა-შორის საქართველოს მთავარ-მმართველის

თავ. ციციშვილისა და სპარსთა შუა. სპარსნი სცდილობდნენ, რომ წყალი გადაეგდოთ ექმეამინდამ 1804 წ. ქვემარტი შეადლე 12-4-6. ტფილისში მზე ამოდის 4-30; ჩადის 7-37. მთვარე ამოდის 7-40; ჩადის 9-25 ნღ.

23 დღე ორშაბათი. ქალწულ-მოწამე აგრიპინისი. სიმე. წმ. ეპიფანე გვირგვინისა, ბაბილასი და სხვათა. კათოლ. აგრიპინასი, ზენონისა და ზენისა. ქვემარტი შეადლე 12-4-17-ს ტფილისში მზე ამოდის 4-30; ჩადის 7-37. მთვარე ამოდის 8-48; ჩადის 2-57 ნღ. პოლოკონი კარიბინი გაეშაროთ განფიდამ შუის გზით მთიორ ლისნევიჩოან შესაერთებლად. სულ 400 ფარის გაცი ჰეადა. აზრად ქმონდა სპარსნი შეეყენებინა, რადგანც მრავლად ამხედრებულენ და უნდადით საქართველოს დასხმოდენ თავსა. უცებ დიდ-ძალი სპარსნი დახვედნენ კარვანში მთიგერ სპარსნი და იარათვისა გზით. ამით დაიხსნა საქართველო სპარსთა თავს დასხმისაგან 1805 წელს.

გამოსადები ცნობანი

ნისრა

1 ივნისიდან 1-ლი ივლისამდე.

თეთრი ზური რუსული 1 გირ. 5 კან.

წითელი ზური 1-ის ჯარისისა. 2 1/2 >

> 2 >

თონის წითელი ზური 1-ის ხარის. 4 1/2 >

> 2 >

> 3 >

> 3 > 2 1/2 >

ჯვარის მამის ზურის ჯავაში

1-ლის ხარისისა . 4 1/2 >

მე-2 ხარისისა . 3 1/2 >

მე-3 — . 3 >

ძროხის სორტი 1-ლის ხარისისა. 8 >

> 2 >

სუკა . 14 >

ცხვრის სორტი . 7 >

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდან გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით, რადგან მარცხა ნოვროსისისკა და კერში შეიკვალის. შორის გზით შაბათობით 8 საათსა. სულმოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირახობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმიში მოდის ოქტომბრით: სამშაბათობით შუაღამეს შორის გზით მოკლეს გზით — დღით.

შაბათობით სტამბოლიდან მოდის დღით.

განცხადებანი

მოსკოვის უნივერსიტეტისას, ისტორია-ფილოლოგიურ ფაკულტეტისას, ჰუსურს იმპოვოს გაკვეთილები ისტორიისა, ძველ ენებისა და სიტყვიერებისა (словеснось) ადრესი შავერდოვის ჰავილიანში. (2-1)

პრ. ჩარკვიანის
ქართულ წიგნის მაღაზიაში ისუიდება ახლად შედგენილი

ქართული ხეები

ნოტებზედ გადაღებული ან ბენაშვილისაგან.

ფასი 1 მან. და 60 კან.

დაიბეჭდა და ისუიდება გრიგორიანის წიგნის მაღაზიაში „მეთოდური სახელმძღვანელო სამშობლო ენის შესასწავლებლად“, შედგენილი ა. ნათახისაგან. ფასი 20 კაპეიკი

ბიბლიო-გრაფიული განცხადება
დაიბეჭდა
ქილილა და ლამინა
მეფის მახტან VI სსა
გრიგოლ გურაელის გამოცემა
ილია ქუონიას რედაქციით.
ფასი სამი მანათი.

საწყობი წიგნისა არის წერა კითხვის გამოცელების საზოგადოების სამართველოში, ბანკის ქუჩა (Банковский переулок), № 23. ისუიდება ტფილისში: გრიგორიანის წიგნთა მაღაზიებში, ქუთაისში — ძმთა ქილაძეების წიგნთა მაღაზიაში; ხონში — ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიაში. ოზურგეთში — რაქლენ წყურფავასთან. ვინც ერთად წაიღო ფულზე იყიდის თვით საზოგადოების სამართველოში არა წაკლებ 20 ცალითა, იმას დაეთმობა წიგნზე ათი შურა.

გამოცემა გ. დ. ქართველი შვილისა.

ახლად დაიბეჭდა და ისუიდება თბილისში გრიგორიანის და ცენტრალურს წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში ჭილაძის მაღაზიაში:

შავსუშტი

საქართველოს ისტორია

განმარტებული და შეცვლებული ახლად შექმნილის არხელოგიურის და ისტორიულის ცნობებით
დამოტრა ზ. ბაქრაძის მეტრ.
ნაწილი პირველი
ძველის საქართველოს საზოგადო ქარტიით.
შედგენილი და დასტული ქვეყანა ს. ი. წილანისისგან, და ამატრ. და გ. ტატიშვილისგან.
თითო წიგნი ღირს სამ მანათად.

ამ წიგნის შინაარსია: 1) სამი წინა-სიტყვაობა: პირველი, ანუ განხილვა ძველის ქართულის ხრონოლოგიისა (ვახუშტისა); მეორე, ანუ ცნობა ვახუშტზე და იმის ქარტებზე (ბრანსესი); მე-სამე, ანუ ქართულის ისტორიის წყაროები და და ქართლის ცხოვრებისა ღირსება (ბაქრაძისა). 2) საქართველოს ძველი წესდებანი და ზეჩეულებანი; ისტორია ძველის დროდამ 1469 წლამდე, ანუ საქართველოს დანაწილებამდე სამეფო-სამთავროებად.

აქ შენიშვნებში შემოტანილია, გარდა მსოფლიო ისტორიულის ცნობებისა, რომელნიც გვიჩვენებენ უცხო-ტომთა გავლენას ჩვენს გეოგრაფიულ, ის ცნობანი, გარგვანნი და შინაგანნი (სხვადასხვა ხრონიკებიდან, გუჯრებიდან და წარწერებიდან), რომელნიც არიან აღმოჩენილნი ჩვენ დროს.

წიგნის ბოლოს ჩართულია: 1) ახალ დამატებაში შთამომავლობის ხე მეფეთა და მთავართა გიორგი VIII-მდე († 1469 წ.). აქ თვითოეულს მეფობაში ნაჩვენებია ყოველივე მის დროს შესანიშნავი ისტორიული შემთხვევა ისე, რომ ეს დამატება შეიცავს ცალკე შემოკლებით მთელს საქართველოს ისტორიას; 2) საზოგადო საქართველოს ქარტა ძველის ისტორიულის ნომენკლატურით (სახელ-წოდებით), იმ გვარად დასატული, რომ იმის მთავრობათა მიმდინარეობა აღვილად უჩვენებს ბუნების დანაწილებას ჩვენის ქვეყნისას თემ-თემებად.

ამ გვარადვე შესდგება მეორე და მესამე ნაწილი «ვახუშტის ისტორიისა». «მეორე ნაწილს» საგნად ექნება: ქართლის სამეფოს გეოგრაფია და ისტორია; კახეთის სამეფოს გეოგრაფია და ისტორია. აქ ჩაერთვის ქართლ-კახეთის მეფეთ შთამომავლობა და ქართლ-კახეთის ქარტა. ჩაერთვის აგრეთვე მხატვრობა, როგორც ყველა ქართულის მანათებისა მათის განმარტებით, აგრეთვე ჩვენის მწერლობის ნიმუშებისა ძველის დროდამე ისე, რომ შეითხველმა ყველა საუკუნოების მწერლობის ხასიათი შეიგნოს. ეს ნაწილი გამოვა მომავალ წელში.

მესამე ნაწილი, გეოგრაფია და ისტორია დასავლეთის საქართველოსა, ანუ იმერეთისა და სამცხე-საათაბაგოსი თავის შთამომავლობით და ქარტიით და სრულის აღფაბეტით გამოიცემა 1887 წელს. (20-7)